2083

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

კვირა, 12 აპრილი, 1942 წ. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ყოველკვირეული ორგანო № 15 (226). ფასი 30 კაპ.

მწერლისა და მხატვრის თანამშრომლობისათვის

პლაკატი, შარჟი, კარიკატურა გადაიქცა პოლიტიკური აგიტაციის ერთ-ერთ უძლიერეს საშუალებად. საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა უდიდესი როლი შეასრულა ჯერ კიდევ სამოქალაქო ომის დროს „როსტას ფანჯარამ", რომლის ინიციატორად გამოვიდა ჩვენი ეპოქის უნიჭიერესი პოეტი და მგზნებარე პატრიოტი ვლადიმერ მაიაკოვსკი. მის მიერ დახატული პლაკატები, მის მიერ შესრულებული შარჟები, რომლებიც ლახვარივით ესობოდნენ კონტრრევოლუციის მესვეურებს და თეთრგვარდიელ გენერლებს, ბრძოლის ცეცხლით ანთებდნენ ომში მიმავალ წითელარმიელებს. ვლადიმერ მაიაკოვსკის ნაყოფიერმა მუშაობამ ამ მიმართულებით საფუძველი დაუდვა სახვითი აგიტაციის ხელოვნებას.

დიდმა გამანთავისუფლებელმა სამამულო ომმა უფრო ვრცელი და ფართო სარბიელი გადაუშალა სახვით აგიტაციას. ამჟამად ჩვენს დიდ სამშობლოში არ არის ასე თუ ისე მოზრდილი კულტურული ცენტრი, სადაც არ ეწყობოდეს საკდესის ფანჯარა, სადაც არ გამოდიოდეს პერიოდული პლაკატ-ჟურნალები. საქართველოს დედა-ქალაქშიც რამდენიმე ფანჯარა გამოდის. საკდესს გარდა, თავისი ფანჯარა აქვს საქართველოს დეპეშათა სააგენტოს, ა/კავკასიის არმიის შტაბს. გარდა ამისა, გამოდის მწერალთა კავშირის პერიოდული პლაკატი-ჟურნალი „ლახვარი", გამოდიან ყოველდღიური პოლიტიკური გაზეთების აგიტფურცლები და სპეციალური იუმორისტული ჟურნალი „ნიანგი", რომლებიც სისტემატურად ათავსებენ შარჟებს, კარიკატურებს, შაირებს, ფელეტონებს იუმორისტული ილუსტრაციით და სხვ.

სახვითი აგიტაციის ხელოვნებამ წარმოშვა მწერლისა და მხატვრის მჭიდრო თანამშრომლობის საჭიროება, რადგან იშვიათად შეხვდებით ისეთს ადამიანს, რომელშიაც შეთავსებული იყოს პოეტური სიტყვის ოსტატის ნიჭი და მხატვარ-ილუსტრატორის უნარი. ამ მხრივ ვ. მაიაკოვსკი ბედნიერ გამონაკლისს წარმოადგენდა. ზეგავლენის ძალა იმ პლაკატისა, რომლის მხატვრობა და ტექსტი ერთსა და იმავე ადამიანს, ამასთან, დიდად ნიჭიერ ადამიანს ეკუთვნის, რასაკვირველია, მეტია, რადგან მხატვრობა ორგანიულად არის დაკავშირებული ტექსტთან. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ დიდ ზეგავლენას ვერ მიაღწევს ის პლაკატი თუ შარჟი, რომელსაც ორი ან მეტი ავტორი ჰყავს. არა მარტო მოსკოვში და ჩვენი ქვეყნის სხვა ცენტრებში, არამედ თბილისშიც გვაქვს არა ერთი და ორი მაგალითი იმისა, რომ მხატვრისა და მწერლის თანამშრომლობამ, ერთად მუშაობამ პლაკატზე და ფანჯარაში გამოსაკიდ შარჟებზე მშვენიერი ნაყოფი გამოიღო. სახელდახელოდ აღვნიშნავთ, მაგალითად, დავით გაჩეჩილაძის, მიქელ პატარიძის თანამშრომლობას მხატვარ ს. ნადარეიშვილთან, რომელსაც ეკუთვნის რამდენიმე ჩინებულად გაფორმებული შარჟი და პლაკატი საქდესის ფანჯრისა. ასევე ნაყოფიერია ჩვენი ქართველი მწერლების მუშაობა მხატვარ ი. თოიძესთან, გუროსა და ს. გაბაშვილთან. უფრო სისტემატიური ხასიათი აქვს მხატვრისა და მწერლის ერთად მუშაობას შარჟებსა და კარიკატურებზე ჟურნალ „ნიანგში", რომელიც უკანასკნელ ნომრებში საკმაოდ მახვილ შარჟებსა და ილუსტრირებულ ფელეტონებს ათავსებს. უფრო მეტად ჩანდა მხატვარი „ლახვრის" პირველ ნომრებში. უკანასკნელად კი ამ პლაკატ-ჟურნალში მხატვარს, როგორც შარჟისა და კარიკატურის ავტორს თითქმის ვერა ვხედავთ. ალბათ, ამით აიხსნება, რომ „ლახვარმა" რამდენადმე დაჰკარგა თავისი სიმწვავე და სიმახვილე, რასაც „ლახვრის" რედაქციამ ახლავე უნდა მიაქციოს ყურადღება.

რაც დრო გადის, რაც უფრო მეტ გამანადგურებელ ხასიათს ღებულობს გერმანელ ფაშისტ მძარცველთა არმიისათვის ჩვენი ძლევამოსილი ჯარის შეტევა, მით უფრო უხვი და მდიდარი მასალა გროვდება იუმორისა და სატირისათვის, შარჟისა და კარიკატურისათვის. ახლა უფრო მეტად, უფრო რელიეფურად, ვიდრე წინა თვეებში, უნდა გამოჩნდეს, თუ რა ფასი აქვს გერმანელ ფაშისტთა სასაცილო მედიდურობას და ამპარტავნობას, მათ ბაქიობასა და მკვეხარობას გერმანული არმიის უძლეველობაზე, თუ რა ფასი აქვს მათ ცრუ და ყალბ თეორიას გერმანული რასის უპირატესობის შესახებ. ჩვენი არმიის ყოველი დარტყმა აცამტვერებს და აქარწყლებს გერმანელ ფაშისტებში გამარჯვების იმედს, ააშკარავებს და ცხადჰყოფს მათი მიზნების უსუსურობასა და უბადრუკობას. ასეთია ძირითადი ტენდენცია ყველა იმ მოვლენისა, რომელიც მოჰყვა ჩვენი არმიის კონტრშეტევას, და ეს უნდა გამოჩნდეს ჩვენი სახვითი აგიტაციის ყოველ ფაქტში.

ჩვენი სახვითი აგიტაციის ერთ-ერთი მთავარი ნაკლი ის არის, რომ იგი ყოველთვის ოპერატიული არ არის, იგი ყოველთვის დროზე როდი უპასუხებს სამამულო ომის ამბებს. სახვითი აგიტაცია უნდა გახდეს სისტემატური და ოპერატული, იგი სწრაფად უნდა ეხმაურებოდეს ყველა იმ მნიშვნელოვან ფაქტს, რომელიც საბჭოთა პატრიოტს აღელვებს.

იმისთვის, რომ ამ ოპერატულობას და პერიოდულობას მივაღწიოთ, საჭიროა უფრო სისტემატური და გეგმიანი თანამშრომლობა მწერლებსა და მხატვრებს შორის. საჭიროა მწერალთა კავშირთან ან მხატვართა კავშირთან შეიქმნას სახელოსნო-ლაბორატორია, სადაც წინასწარ დამუშავდება და შემდეგ დასრულებულ სახეს მიიღებს აგიტპლაკატი სამამულო ომის მნიშვნელოვან მოვლენებზე. მიღებულ უნდა იქნას ყველა ზომა იმისათვის, რომ მწერლობისა და მხატვრობის ორგანიულმა თანამშრომლობამ მთელი სიმწვავით, სიმახვილით და სიდიადით აღბეჭდოს სამამულო ომის დაუვიწყარი დღეები.

◆

ჰორიზონტზე ინვოდა მესსერშმიტი

ალექსანდრე სულავას

შემოიჭრა ოცდასამი მესსერშმიტი,
ოცდასამი გველ-ხოკერის გრაგანი,
შეეგება ჩვენი ორბი ექვსჯერ შვიდი
და გახურდა ტყვიამფრქვევის კაკანი.
— ძვირს დავუჯდენ შემოფრენას ვერაგულს —
გადირია საზენიტო ქვემეხი,
ცაში დარგო უთვალავი ბამბის ქულა,
უთვალავი ყუმბარების ჭერხი.

ნახე, ცეცხლის როგორ უნდა გაჩაღება!
შეაგებეს, ფათერაკი უჩვენეს;
პროპელერი შეაბრუნეს ყაჩაღებმა !
და ღრუბლებში თავს უეცრად უშველეს.

ახლა ნახე ჩვენი ორბის ჩასაფრება,
ღრუბელსა და ღრუბელ შუა ტრიალი,
კამარაში ტყვიამფრქვევის გამძაფრება,
როგორც ცაში სავათების კრიალი.

არ იქნება, ვერ წაუვლენ გულ-მხდალები,
ჩვენი ორბის მარჯვე არის ხანძარი,
და სკდებოდნენ ზეცის თაღში ყუმბარები,
და საღამო ეშვებოდა ზანზარით.
მაშინ ერთი გაიფატრა მშვიდზე-მშვიდი
ღრუბლის ქულა, ასთავი და ასმკლავი
და დაეშვა ანთებული მესსერშმიტი—
სიზმარეთის კუდიანი ვარსკვლავი.

დააკვირდი, ცეცხლის ენებს როგორ ისვრის
განწირული, მკერდში ტყვია-გაჩრილი!
დააკვირდი, დააკვირდი როგორ იწვის
ჰორიზონტზე მტაცებელი დაჭრილი!
ნახე, ცეცხლის როგორ უნდა გაჩაღება!
დააყარეს, ფათერაკი უჩვენეს,
შეაბრუნეს პროპელერი ყაჩაღებმა
და ბინდ-ბუნდში თავს უეცრად უშველეს.

ირაკლი აბაშიძე.

[illegible]

ქართული პოეზიის დიდი ტრადიცია-პატრიოტიზმი

ლევან ასათიანი

წერილი პირველი

ქართული ლიტერატურის ერთ-ერთ მთავარ მამოძრავებელ იდეას დასაბამითვე შეადგენდა პატრიოტიზმი, სამშობლოს სიყვარულის უკეთილშობილესი გრძნობა.

უდიდესი ქართველი მწერლები იმავე დროს უდიდესი ქართველი პატრიოტები იყვნენ. თავიანთი პირადი ცხოვრებით, თავიანთი შემოქმედებით ისინი ემსახურებოდნენ მშობელი ერის კეთილდღეობას, მისი ცხოვრების განკარგებას, მისი კულტურის ამაღლებასა და გაძლიერებას.

I.

ღრმა პატრიოტული სულისკვეთებით არის გამსჭვალული რუსთაველის უკვდავი „ვეფხის-ტყაოსანი". ტყუილად არ უწოდა ამ ნაწარმოებს ილია ჭავჭავაძემ „სულიერი განძი, რომელიც სამკვიდროდ და სასახელოდ უანდერძა ჩვენმა წარსულმა ჩვენს ერსა... დიდებული პოემა, შექმნილი ჩვენის ერის დიდებულობის დროსა, ჩვენის კაცისაგან და ჩვენს ენაზედ დაწერილი".

რუსთაველში, როგორც პოეტსა და ადამიანში, ჭეშმარიტი პატრიოტისა და მოქალაქის განსახიერებას ხედავდნენ ისეთი დიდი მგოსნები, როგორიც იყვნენ აკაკი და ვაჟა-ფშაველა.

აკაკი ასე მიმართავთა რუსთაველს:

> „სულმნათო, ჩვენცა გვასწავე
> ეგ საიდუმლო ეღრისა,
> რომ ავვისრულდეს წადილი,
> მგოსანი ვიქნე ერისა".

ვაჟა-ფშაველა „ვეფხის-ტყაოსნის" უკვდავ ავტორს ავედრებდა მშობელი ხალხისათვის თავგანწირულ ვაჟკაცებს:

> „მიიღე, როგორც შვილები,
> თავდადებულნი ქვეყნისთვის
> შენი სამშობლოს გმირები".

ქართველი ხალხი, რომელიც საუკუნეთა მანძილზე გააფთრებით ებრძოდა ყოველმხრივ შემოსეულ მტერს, თავისი მხნეობისა და სულიერი სიმტკიცის ძალას რუსთაველის დიად ქმნილებაში ჰპოვებდა. „ვეფხის-ტყაოსნის" გმირები მაგალითს იძლეოდნენ თავიანთი ვაჟკაცობით, სიმდგრით, ფოლადისებური ნებისყოფით. „ჭირსა შიგან გამაგრება ისე უნდა, ვით ქვითკირსა". რუსთაველის ეს აფორიზმი ზარივით რეკდა საქართველოს ისტორიის შავბედით ეპოქებში, ის ცეცხლოვან დევიზად უნათებდა მამულისათვის, მშობლიურ მიწა-წყლისათვის მებრძოლ ქართველ ხალხს.

„ვეფხის-ტყაოსნის" გმირები სხვა კეთილშობილ ღირსებებთან ერთად დაჯილდოებულნი არიან ნაციონალური სიამაყის სამაგალითო გრძნობითაც. გავიხსენოთ, რას ეუბნება ნესტან-დარეჯანი თავის რაინდს ტარიელს: „ეგე ამბად არ ეგების, რამე სპარსნი გაგვიხსადენ!" ან კიდევ უფრო მკვეთრად გამოთქმული იგივე აზრი:

> „ჰკადრე თუ: სპარსთა ვერა ვიქმ
> ინდოეთისა ჭომასა,
> ჩემია მკვიდრი მამული,
> არ მივცემ არცა დრამასა".

ეს სიტყვები მარტო სპარსელების მიმართ არ იყვნენ თქმულნი, ეს ეხებოდა ყველა უცხო ქვეყნელებს, რომლებიც კი მოისურვებდნენ ნესტანისა და ტარიელის სამშობლოზე გაბატონებას.

რუსთაველის გმირები თავისუფალი ქვეყნის შვილები არიან და ვერ ითმენენ თავიანთ სამშობლოს ღირსებისა და პატივის შელახვას. მათს საზრუნავ საგანს შეადგენს მშობლიური ქვეყნის სიმტკიცე და კეთილდღეობა. ფარსადან მეფე ისეთ სასიძოს ეძებს, რომელიც ღირსეული გამგებელი იქნება ხალხისა, შესძლებს მის დაცვას გარეშე მტრებისაგან, გონიერად მოუვლის სახელმწიფოს:

> „სამეფოსა ვაპატრონოთ,
> სახელმწიფო შევინახოთ,
> არ ამოვწყდეთ, მტერთა ჩვენთა
> ხრმალი ჩვენთვის არ ვამახოთ".

მამულისათვის თავის დადება, სამშობლოს მტრებთან მედგარი ბრძოლა, რუსთაველის შეხედულებით, მთავარ ღირსებას წარმოადგენს ყოველი ადამიანისათვის. ვაჟკაცობის იდეალი, რომელიც შექმნა რუსთაველმა, განპირობებულია და გაკეთილშობილებული პატრიოტიზმის დიადი გრძნობით.

2.

პატრიოტული მოტივები განსაკუთრებულად მძაფრ გამოხატულებას ჰპოვებდნენ ქართულ პოეზიაში ჩვენი ქვეყნის ისტორიის თავდაღმართებზე. რაც უფრო სასტიკი იყო ჟამთა მიმოკვეთება, რაც უფრო დიდ საფრთხეს განიცდიდა ჩვენი ხალხი, მით უფრო ძლიერი ხდებოდა ნაციონალური თავდაცვის ინსტიქტი, გამოხატული პოეტურ შემოქმედებაში. მე-17-18 საუკუნეთა მანძილზე ქართველი მგოსნების შემოქმედებაში საპატიო ადგილს იკავებს პატრიოტული ლირიკა და ეპოსი. ეს მგოსნები ჰქმნიან ნაციონალური გმირების შესანიშნავ პოეტურ გალერეას. ამ ეპოქის უდიდეს პატრიოტულ ნაწარმოებთა რიცხვს ეკუთვნიან თეიმურაზ პირველის პოემა ქეთევან წამებულზე, იოსებ თბილელის პოემა გიორგი სააკაძეზე, დავით გურამიშვილის პოეტური ავტობიოგრაფია.

დ. გურამიშვილი—ეს ახალი ულისი მეთვრამეტე საუკუნის ქართული პოეზიისა—იყო ავტორი დიადი ლოზუნგის, რომელიც შეეხებოდა ქართველ ტომთა ნაციონალურ გაერთიანებას. მისი პოეტური იერემიადა პოლიტიკური მანიფესტის ძალით გაისმა საქართველოში. ამის შემდეგ სავსებით ბუნებრივია, რომ მეცხრამეტე საუკუნის ქართველმა პოეტებმა, ნაციონალურ-რევოლუციური მოძრაობის სულისჩამდგმელებმა, იგი, მოხუცი დავით გურამიშვილი, ჩასთვალეს თავის მეტრად და უშუალო წინამორბედად, როგორც უდიდესი პოეტი-პატრიოტი, სამშობლოს სვე-ბედის მომღერალი მგოსანი. ვაჟა-ფშაველა გურამიშვილისადმი მიძღვნილ ლექსში პირდაპირ მიმართავს მას:

> „შენ, ჩემო წინამორბედო,
> უძვირფასესო პაპაო...
> ...ნამდვილო მამულიშვილო,
> სამშობლოს ეკლის მკაფაო".

მძიმე ხვედრი არგუნა ბედმა დავით გურამიშვილს. მან განიცადა სიმწარე ლეკთა ტყვეობისა, სიღატაკე, შიმშილი. ტყვეობიდან გაპარული იგი მიდის რუსეთს, რომ მთელი თავისი დანარჩენი ხანგრძლივი ცხოვრება გაატაროს სამშობლოს, ნათესავებსა და თანამოძმეებს მოშორებულმა. მისი ცხოვრება სავსეა შფოთით, მწუხარებით, სინანულით. ფათერაკი თან დასდევს მიუსაფარ პოეტს. რუსეთის არმიაში მოხვედრილი, იგი მონაწილეობას იღებს თურქეთის, პრუსიისა და შვეციის წინააღმდეგ ომებში. შვიდწლიანი ომის დროს ის ტყვედ უვარდება პრუსიელებს და ოთხ წელს ტყვედ იმყოფება მაგდებურგის ციხეში. მოხუცობის წლებს გურამიშვილი უკრაინაში ატარებს და იქვე კვდება თავისიანებისაგან დავიწყებული.

„სხვის ქვეყნად სამკვიდროს ქვეყნით გამოძებული" ადამიანის მწარე განცდა თან სდევდა გურამიშვილს მთელ სიცოცხლეში. მაგრამ მარტოობაში მყოფი იგი ნიადაგ ოცნებობდა თავის შორეულ სამშობლოზე, თავის ხალხზე, მის მწვავე ბედსა და მომავალზე. მის შეგნებაში სავსებით ნათელი ხდებოდა ის მიზეზები, რომლებმაც დაღუპეს საქართველო—ეს იყო გარეშე მტრების მოძალება და შინაგანი პოლიტიკური დაქსაქსულობა ქართველი ხალხისა. მისი უკვდავი წიგნი „ქართლის ჭირი" წარმოადგენს პატრიოტული პოეზიის შესანიშნავ შედევრს, სადაც აღწერილია „ვით დავკარგეთ ჩვენ ქვეყანა ჩვენდა გარეშემო მტრებით", სადაც გაისმის მოწოდება ნაციონალურ ძალთა შემჭიდროებისა და სახელმწიფოებრივი სიმტკიცის აღდგენისაკენ. დავით გურამიშვილის ყოველი პოეტური სტრიქონი დაწერილია სისხლით და ცრემლით, ყოველი მისი ტაეპი სუნთქავს უსაზღვრო სიყვარულით სამშობლო მიწა-წყალისადმი, მშობლიური ხალხისადმი. დ. გურამიშვილი იყო დიდი პოეტი და დიდი მოძღვარი თავისი ერისა. მისი ლექსები, არსებული პოეტური ტრადიციების წინააღმდეგ, დაწერილია ხალხურ კილოზე, მისი სიმღერები უშუალოდ ხალხის გულიდან არის ამოღებული. ამით აიხსნება, რომ მეთვრამეტე საუკუნის პოეტებიდან არავინ მისულა ისე ახლოს ჩვენს ხალხთან, როგორც მივიდა შორეულ მხარეში გადაკარგული მგოსანი.

3.

მეცხრამეტე საუკუნის ქართული პოეზიის კარიბჭეში დგას გენიოსი ჭაბუკი ნ. ბარათაშვილი. მთელი მისი პოეტური შემოქმედება აგებულია სოციალური პოეზიის მტკიცე საფუძველზე.

მეცხრამეტე საუკუნის ქართული ნაციონალურ - გამანთავისუფლებელი მოძრაობის ლიტერატურული სათავეები თავს იყრიან იმ ოცდაათ პოეტურ დოკუმენტში, რომელიც დაგვიტოვა ამ „დაწყევლილმა ყრმამ". ქართული მწერლობის უძვირფასესი საუნჯე და ნ. ბარათაშვილის შემოქმედების გვირგვინი—პოემა „ბედი ქართლისა" იმავე დროს წარმოადგენს ქართული პატრიოტული პოეზიის მონუმენტალურ ძეგლს. არსებობს შინაგანი კავშირი დ. გურამიშვილის „ქართლის ჭირსა" ნ. ბარათაშვილის „ქართლის ბედს" შორის, და ეს კავშირი მარტო თემატიური ფარგლით არ განისაზღვრება — მათ აახლოვებს იდეურ-მსოფლმხედველობითი ნათესაობა, თანაბარი პოეტური მგზნებარება, უღრმესი პატრიოტული გატაცება. ნ. ბარათაშვილის ლექსი „საფლავი მეფის ირაკლისა", დაწერილი „ქართლის ბედზე" სამი წლით გვიან, ამ პოემის ერთგვარ ეპილოგს წარმოადგენს.

ნ. ბარათაშვილი ერთ-ერთი პირველი პატრიოტი პოეტია მეცხრამეტე საუკუნის ქართულ ლიტერატურაში. მან უკვდავი ძეგლი აუგო თავის პოემაში „ივერიის უკანასკნელ სიმტკიცის სულს", მეფესა და გმირს, პატარა კახს ერეკლეს და მასთან ერთად მგზნებარე სტრიქონები უძღვნა მის ლეგენდარულ თანამებრძოლებს, კრწანისის გმირებს—„მრავალთ ყმაწვილთ კაცთ, ნუგეშთა ქართლის", რომლებმაც „დასდვეს აქ თავი მამულისათვის". ნ. ბარათაშვილმა პირველმა უმღერა თავის სამშობლოს—ახალ საქართველოს, „სადაც აქამდის ხმლით და ძალით ჰფლობდა ქართველი" და სადაც „სამშვიდობო მოქალაქის მართავს აწ ხელი". ის ხედავდა „ახალი ქართლის" ნაციონალური და კულტურული აღორძინების უეჭველ სიმპტომებს და მისი ჭაბუკური გული ივსებოდა უსაზღვრო სიხარულით. მის პატრიოტულ სიამაყეს იწვევდა ის გარემოება, რომ „მრავალნი ყმაწვილნი კაცნი, მოცლილნი სამსახურითგან, მყუდროებაში და მარტოობაში შეეწევიან მამულს ენას, რაოდენიცა ძალუძთ" და დაასკვნიდა სიხარულით, რომ „ესე საზოგადო სული ბუნებითის ენის ტრფიალებისა ყმაწვილთ კაცთ შორის ამოაჩენს, რომ ქართველთ არა ჰძინავთ გონებით".

ნ. ბარათაშვილის ღრმა პატრიოტიზმი მოსჩანს მის ლექსებში, სადაც ასახულია საქართველოს ბუნება. ის აღტაცებით მიმართავს მშობლიურ ცის ლაჟვარდებს: „ჰე, ცაო, ცაო, ხატება შენი ჯერ კიდევ გულზედ მაქვს დახნეული". ის შეეტრფის მოუსვენარ არაგვს და მის ნაპირებზე ატეხილ ჰალებს: „ქართველსა გულმან როგორ გაუძლოს, ოდეს შვენება თქვენი იხილოს". გულსევდიანი იგი მიმართავს თავისი საყვარელი მთაწმინდის „დამაფიქრებელ, ვერანა და უდაბურ" ადგილებს, მის ბუნდოვან კლდეებს, ღრუბლიან სერებს. ის უმღერის საქართველოს დედა-მდინარეს, „მრავალ დროების მოწმე" მტკვარს და ცდილობს ჩასწვდეს მისი მუდმივი ოხვრის მიზეზს: „მხოლოდ ბუტბუტებს მტკვარი მწუხარე, შემრთველი მრავალთ სისხლთა ქართველთა".

ნ. ბარათაშვილის ხანმოკლე ცხოვრება აღბეჭდილია სამშობლოს გასაოცარი და სამაგალითო სიყვარულით. მისი ნაადრევი ტრაგიკული სიკვდილი ილია ჭავჭავაძეს სამართლიანად მიაჩნდა ნაციონალურ უბედურებად:

> „ხალხო ობოლო, შენ მებრალები,
> რომ დაგაობლა მის ციურ შუქმა
> და განგაშორა თვისი სხივები!"

ნ. ბარათაშვილი, მიუხედავად მისი ლიტერატურული მემკვიდრეობის სიმცირისა, რჩება დიდ ქართველ ნაციონალურ პოეტად, პატრიოტ-მგოსნად, რომელმაც „მცირითა შუქით გარდუყარა ცასა ღრუბელი, დიდ სამქუხარო, საავდარო". მან საფუძველი ჩაუყარა მე-19 საუკუნის ქართულ პატრიოტულ ეპოსს და გზა გაუკაფა თავის მომდევნო დიდი ქართველი პოეტების თაობას.

მწერალთა კავშირის პრეზიდიუმში

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმის მორიგ სხდომაზე მოსმენილ იქნა აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთისა და ქუთაისის მწერალთა ორგანიზაციების ინფორმაციები სამამულო ომის პერიოდში მათ მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ.

აფხაზეთის მწერალთა კავშირის შესახებ ინფორმაცია გააკეთა ამავე კავშირის პ-მ მდივანმა გ. გულიამ. აფხაზეთის მწერალთა კავშირმა სამამულო ომის პირველ დღეებიდანვე ომის შესაბამისად წარმართა მუშაობა. რამდენიმე მწერალი ლ. კვიცინია, ქ. აგუმაა, ა. ჯონუა, ს. სანგულია და სხვები წითელ არმიის რიგებში იბრძვიან გერმანელი ოკუპანტების წინააღმდეგ. აფხაზეთში დარჩენილი მწერლები კი გაცხოველებულ მუშაობას აწარმოებენ. სამამულო ომის პერიოდში გამოიცა აფხაზეთის პოეტების ლექსების ორი კრებული და ერთი კრებული თითომოქმედებიანი პიესებისა. ეს უკანასკნელი კრებული თვითმოქმედი თეატრალური კოლექტივებისთვის არის დანიშნული. სამივე კრებული გამოხატავს ჩვენი გმირი ხალხის თავგანწირულ ბრძოლას გერმანელი ოკუპანტების წინააღმდეგ, საბჭოთა ხალხის უსაზღვრო სიყვარულს და თავდადებას თავის სამშობლოსა და ლენინ-სტალინის პარტიისათვის.

ასეთივე მოტივებით არის გაჟღენთილი ლექსების მეოთხე კრებული, რომელსაც ამ მოკლე ხანში გამოსცემს აფხაზეთის მწერალთა კავშირის ორგანიზაცია. მზადდება ლექსებისა და პატარა მოთხრობების მეხუთე კრებული.

აფხაზეთის მწერალთა კავშირმა ამ თავითვე განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მწერლების მონაწილეობას საგიტაციო - საპროპაგანდო მუშაობაში. სისტემატურად იმართება ანტიფაშისტური ლიტერატურული საღამოები კლუბებში, გამწვევ პუნქტებში, სკოლებსა და წარმოება-დაწესებულებებში. მწერლები აქტიურად მუშაობენ სატირული ფანჯრებისა და პლაკატების გამოცემაში. მათი ლექსები და მოთხრობები იბეჭდება როგორც სოხუმის, ისე რაიონულ გაზეთებში.

არა ნაკლები მუშაობა ჩაუტარებიათ სამხრეთ-ოსეთში (მომხსენ. შავლოხოვი). მთლიანად გადათარგმნეს „დავით სასუნცი". ხარიტონ პლიევი მუშაობს „ვეფხის-ტყაოსნის" თარგმანზე. ორი მესამედი უკვე თარგმნილი აქვს. სამხრეთ-ოსეთის მწერალთა კავშირს ბევრი უმუშავნია ოსეთის ხალხური ეპოსის („ნართების ეპოსის") შესაგროვებლად. უკვე 14.000 სტრიქონია შეგროვილი. შერჩეულია ყველაზე უფრო საინტერესო ვარიანტები. საბოლოოდ ტექსტი დადგენილი იქნება 15 მაისისათვის.

სამამულო ომის თემებზე სამხრეთ-ოსეთის მწერლების ლექსები სისტემატურად იბეჭდება ადგილობრივ პრესაში. კვირაში ორჯერ ეწყობა მწერალთა გამოსვლა რადიოში. დამზადებული აქვთ სამამულო ომისადმი მიძღვნილი ლექსებისა და მოთხრობების სამი კრებული. თეატრში იდგმება მაკაევისა და შავლოხოვის თითომოქმედებიანი პიესები.

მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილებას (მომხს. დიმიტრი კვირკველია) მთელი მუშაობა მასობრივი ხაზით წარუმართავს. სისტემატურად იმართება ლიტერატურული ანტიფაშისტური საღამოები. სამამულო ომის პერიოდში ასეთი სახის საღამოები 59-ჯერ გაუმართავთ სასწავლებლებში, საგიტაციო და გასაწვევ პუნქტებში და სხვაგან.

გარდა ამისა, ქუთაისის მწერლების ნაწერები სისტემატურად იბეჭდება როგორც ადგილობრივ, ისე რაიონულ გაზეთებში. რადიოს მიერ გამართულ ლიტერატურულ გადაცემებში ქუთაისში მყოფი მწერლები უახლოეს მონაწილეობას იღებენ.

მოხსენებების შემდეგ გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ირ. აბაშიძემ, ს. ჩიქოვანმა, ლ. ქიაჩელმა, ს. ეულმა.

ამხანაგებმა ერთხმად აღნიშნავდნენ მწერალთა ზემოხსენებულ ორგანიზაციების გააქტივებას სამამულო ომის პერიოდში. მოითხოვდნენ, რათა ამ ორგანიზაციებმა უფრო მეტი ყურადღება მიაქციონ მასობრივ მუშაობას, მეტი ანტიფაშისტური ლიტერატურული საღამოები გამართონ როგორც ადგილობრივ ისე რაიონებში. ადგილობრივ მუშაობის უფრო მეტად გაძლიერებისათვის საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმი თბილისიდან სისტემატურად მიავლინებს მწერალთა ბრიგადებს. გარდა ამისა, ჩვენს ლიტერატურულ პრესაში სისტემატურად დაიბეჭდება თბილისის გარეთ მცხოვრებ მწერალთა თვალსაჩინო ნაწერები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაჩვევი ხელი

ბორის ჩხეიძე

მარცხი მუშაობის დაწყებიდან ერთი საათის შემდეგ მოხდა. ერთგულად მომუშავე მანქანა, პატარა ქეთო, წყობილებიდან გამოვიდა. პატარა ქეთო, მესამე სიზუსტის აგრეგატი, ცალკე იდგა, ცეხის მარჯვე და ნათელ კუთხეში. მესამე კვირა იყო, რაც მას ჯარში გაწვეულ ბიკენტი კოდაშვილის მაგიერ, ახლად მიღებული მუშა ამუშავებდა. და სწორედ მესამე კვირის დამლევს, როცა ყველას ეგონა, რომ ახლად მიღებული მუშა მანქანას დაეუფლა, პატარა ქეთომ მოულოდნელად დაიწივლა, ქამრებივით ვიწრო ღვედები დასწყვიტა, ზეთი გადმოანთხია და მუხლაკიდან გამოგდებული ბურთულა თავში სთხლიშა მუშას. მუშა იმ წამსვე წაიღეს პირველი დახმარების ოთახში.

პატარა ქეთოსთან კი, მახლობლად მომუშავეებს რომ ვერ შეეჩერებინათ იგი, დირექტორმა, ინჟინერმა და ცეხის ჭაღარა უფროსმა მოიყარეს თავი.

გაჯიუტდა, დადგა, შრომაზე უარი განაცხადა პატარა ქეთომ. მერე როგორმა მანქანამ: თხუთმეტი წელიწადი მუშაობდა, დაუზარებლად, შეუკეთებლად. საათივით აწყობილი იდგა თავის ადგილას. ვის არ მოუწონებია თავი ქარხანაში მისი უზადო შრომით.

— პატარა ქეთო,—იტყოდნენ ხოლმე მუშები კრებაზე,—ჩვენი თვალია.

და მართლაც, პატარა ქეთო, გარდა იმისა, რომ ერთად-ერთი იყო აქ, მისი სერიისა სხვა ქარხნებშიაც იშვიათად მოიპოვებოდა.

იგი ლენინგრადიდან ჩამოიტანეს. დადგეს, გამართეს, მას შემდეგ ერთ დღეს, ერთ საათს არ უღალატნია სამუშაოსთვის.

პატარა ქეთო მუშებმა სასიყვარულოდ, საფერაოდ დაარქვეს ერთი ქალიშვილის სახსოვრად. იგი გამართვასა და ამუშავებაზე ეხმარებოდა ლენინგრადელ ოსტატს. როგორც ეს, მესამე სიზუსტის მანქანა, წარმოადგენდა იშვიათ რამეს მაშინ ქალაქში, ისე მისი დადგმის მონაწილე მელითონე მუშა ქალი პატარა ქეთო იყო იშვიათი ადამიანი. ქალების ამნაირ საქმეში მონაწილეობა, სამამაკაცო საქმეზე მუშაობა მაშინ არავის სწამდა. მაგრამ ეს დაწვრილებითი ამბავი მანქანის სახელის ირგვლივ მხოლოდ ჭაღარა ოსტატმა იცოდა. მუშები არაფერს კითხულობდნენ. კარგად მომუშავე, სუფთა, ნიკელცურვილ-ნაწილებიან მანქანას პატარა ქეთო ერქვა. უკეთესი აბა რაღა შეიძლებოდა?

— რა მოუვიდა პატარა ქეთოს? იკითხა ინჟინერმა გერასიმე კავაძემ და მიზეზის შეხსნების მოსასმენად ცეხის უფროსთან მივიდა. რა მოუვიდა პატარა ქეთოს? აგერ შენა, აგერ შენი პატარა ქეთოი. ინჟინერი შენა ხარ და ჰანდე გაიგე, რა მოუვიდა! შეჩვეული ხელი მოაკლდა, — მიახალა ცეხის უფროსმა.

— რა უყოთ, რა ვქნათ?—კვნესოდა დირექტორი ხელების ფშვნეტით.

სიტყვების ამ ფარიკაობის დროს გერასიმეს როგორღაც მანქანიდან ერთი ნაწილის მოხსნა მოეხერხებინა კიდევაც. თავის ქნევით ჩაჰკირკიტებდა გადახეხილ და გაცხელებულ მუხლაკს.

— ეშველება რამე?—იკითხა კიდევ დირექტორმა.

— უშველებელი ამას არა სჭირს-რა. მე სხვა მაწუხებს. ავარია განმეორდება შემდეგაც. მანქანას გამოცდილი, ჩვეული ხელი აღარ ჰყავს. ეგ არის საწუხი.—და იქვე უბრძანა ცეხის უფროსს:—მომიგროვეთ დასვენებისას ყველა ის მუშა, რომელსაც ამ მანქანაზე უმუშავნია.

— ქარხანაში არა გვყავს მაგეთი კაცი: სამი იყო—სამივე ჯარში წავიდა, — შორს დაიჭირა ცეხის უფროსმა.

ინჟინერი დაღონდა. თვალი მოავლო ხმაურით გავსებულ ცეხს. ავარიების საშიშროება იგრძნო. გამოზრდილი გაწაფული, დახელოვნებული მუშები აქა-იქ მოჩანდნენ. ბევრი გამოცდილი მუშა ფრონტზე წავიდა. დაზგებთან კი გამოუცდელები იდგნენ. ერთი თვალის მოკვრით შეიძლებოდა მათი ცნობა, შეუსაბამოდ მოძრაობდნენ კონვეიერულად დალაგებულ აგრეგატებს შორის.

— მერე, მხოლოდ იმ სამ კაცზე ჰკიდია ჩვენი ბედი? გთხოვთ, საქმეზე ილაპარაკოთ, ცეხის უფროსო, შეუტია და შეუბღვირა გერასიმემ.

— იმ სამშიაც მხოლოდ ბიკენტი კოდაშვილს თუ ანდობდა კაცი მაგ მანქანას, — გადაუსხა ცეცხლზე ნავთი ცეხის უფროსმა.

— ბიკენტი კოდაშვილი! დაიჟინე შენც! არა მჯერა, იმ სამის მეტმა არავინ იცოდეს რა მაგ მანქანისა. რას მიშვრები: დღე-დღეზე სამხედრო შეკვეთას მოველი! — გაცოფდა გერასიმე.

— კიდევ მეოთხე მუშაობდა მაგ მანქანაზე. კაცმა რომ სიმართლე თქვას, ის მეოთხე სჯობდა იმ თქვენ ნაქებ კოდაშვილსაც და მის შეგირდებსაც, ერთად შეკრულთ,—დაბალი, ნახევრად გასაგონი ხმით ჩაერია საუბარში კოჭლი მეტაბელე, ამნაირი მიწევნოწევისა და შემთხვევის მოწმე თითქმის მთელ ქარხანაში.

თვალი და ყური მას მიაპყრეს.

— ის მეოთხე ხომ ქალია!—დააცხრა ცეხის უფროსი მეტაბელეს, ისეთის კილოთი, თითქოს ეუბნებაო, აქ ცხვირს ნუ ჩრი, შენი საქმე არ არის, წადი, მიხედე შენი ადგილი კართან და ნუმრების დაფასთანაო.

— მერე სად არის?—ჩაეჭიდა მეტაბელის სიტყვას გერასიმე.

— მერე სად არის!— გამოაჯავრა ცეხის უფროსმა — დაგავიწყდა სად არის?—აღარ დააცალა პასუხი მეტაბელეს: — შენმამზემ, შენს იქით გზა აღარა ჰქონდა! სად არის და შინ, ოთხი შვილის დედა გახლავთ,—მიახალა და ცეხის სიღრმეში დაიკარგა ღვედებსა და ბორბლების ლანდებს შორის.

გერასიმე კავაძე—თითქოს მოულოდნელად თოფი ესროლესო—შეახტუნა ამ სიტყვებმა. ეს ყოფილა მისი ბედი. ეგონა, სამუდამოდ დაივიწყა ქეთო, ეგონა, მაგრამ თავის უნებურად გაჩენილ ადამიანს თავის უნებურადვე უნდა სდიოს მთელ სიცოცხლეში რაღაც წერამ. ისევ გამოეჭიმა წინ გზაჯვარედინზე გზის მაჩვენებელი ნიშანივით პატარა ქეთო. რა დაავიწყებს? აგერ იმ კუთხეში უყვარდა დასვენება, საუზმობა და ქარხნიდან გასვლის წინ თმისა, ქუდისა და წარბების სარკის წინ შესწორება. თითქოს აგერ დგას მისი მარმარილოსაგან გამოძერწილი სხეული, შაქრისავით ნათელი თეთრი სახე, ტყესავით ხშირ წამწამებში ჩასაფრული ლილისფერი თვალები და გრძელი, სპილოს ძვლისაგან გამოხარატებული თითები.

ამ ქარხანას რომ აგებდნენ, მაშინ გაეცნო ქეთოსაც, ცეხის უფროსსაც და ბიკენტი კოდაშვილსაც. მანქანები და დაზგები, ფიჭვის ფიცრებში მძიმედ შეფუთნულები, ლენინგრადიდან მოჰქონდათ მატარებლებს.

ინჟინერი გერასიმე კავაძე, მაშინ ნახევრად ხელოსანი, მუშა იყო. ლენინგრადელ ოსტატს, რომელიც მანქანას სდგამდა და საექსპლოატაციოდ ამზადებდა, სამი კაცი მიუჩინეს მომხმარედ: ბიკენტი კოდაშვილი, ქეთო და გერასიმე კავაძე. ბიჭები ცულლუტობდნენ, ქეთო კი ერთგულად, დაკვირვებულად ეხმარებოდა ოსტატს. აქედან ის გამოვიდა, რომ მანქანის ამუშავებისას გერასიმე და ბიკენტი ქეთოს ხელქვეითები აღმოჩნდნენ.

გერასიმეს ეს იწყინა. ქეთო მოსწონდა, ცოლად უნდოდა შეერთო. საათს ისე ვერ გასძლებდა, ქეთო არ დაენახა, არ გამოლაპარაკებოდა, არ გახუმრებოდა. ქეთოსაც არ ენანებოდა მისთვის თითო-ოროჯერ წარბების გახსნა, კბილების მინათება და თვალების ალერსიანად მოჭუტვა. მაგრამ ყველაფერი უკუღმა შეტრიალდა. ქეთო ბიკენტი კოდაშვილს გადაებირებინა. დიახ, ბიკენტი კოდაშვილმა, ჭირისა და ლხინის ამხანაგმა ხელიდან გამოაცალა ქეთო-საცოლე.

ქეთოსაც შეატყო, შორე-ახლო ალერსზე არა სწყრებოდა, სხვაფრივ კი ბიკენტი თავის სიცოცხლეს ერჩია.

დასწვა, გაამწარა უიმედო სიყვარულმა გერასიმე. აქეთ-იქით ეხეთქებოდა თავთხელ წყალში გავარდნილი ორაგულივით. ქარხანაში ველარ გასძლო. ეცქირა და მერე ვისთვის? ბიკენტისა და ქეთოსათვის, ერთმანეთის მზეს რომ ფიცულობდნენ? წავიდა, მოსცილდა ქარხანას დაღამებულ დღესავით. ერთხანს უსაქმოდ დაეხეტებოდა გარეუბნებსა და პროსპექტებზე. გაასპიტებულ გულზე ბნელაში შეხვდა ბიკენტს. მანამდე ჰგლიჯეს და სცემეს ერთმანეთს, სანამ ვიღაც უცნობებმა არ გააშველეს.

დალილავებული თავპირით მეორე დღეს რაიკომში მივიდა, იქ ნათხოვნი ჰქონდა გაეგზავნათ სადმე სასწავლად. მისვლისთანავე მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე შესვლის მისავლინებელი საგზური მისცეს ხელში. ოღონდაც ქალაქს მოსცილებოდა. აღარ დაელია აქაური წყალი, აღარ ესუნთქა აქაური ჰაერი, სადაც ქეთო და ბიკენტი იყვნენ ბედნიერნი, ის კი უბედური, და თუნდაც ქვესკნელში წავიდოდა. ინსტიტუტში ორ წელიწადს ელანდებოდა კიდევ პატარა ქეთო. დღე მოსვენება არა ქონდა, ღამე ძილი. წლის დამლევს საგნები ჩაუბარებელი რჩებოდა.

სულ ბოლოს უკანასკნელი იმედებიც გამოეცალა გულს. რაღაც ეშმაკად ზაფხულზე თბილისში ჩამოვიდა. უეცრად გადაეყარა ქეთოს ტრამვაით მგზავრობის დროს. ფიჩხივით ჩამომხმარიყო ქალი. ნესტოების ძირად და ცხვირის კეხზე მიხაკისფერი ტალი ედო. სახის ნათელ თეთრ კანში ჭორფლის ფოროჯი გამოკრთოდა, ჩოფურასავით. ხელებში კი (ყველაზე ძალიან ამან დაღონა გერასიმე) წითელ საბანში გახვეული ბავშვი ეჭირა. ქეთო დედათა და ბავშვთა კონსულტაციიდან მშვიდად ბრუნდებოდა, ალბათ, შინ.

— რვა თვისაა, ათ კილოს იწონის,—ეუბნებოდა პირდაპირ სკამზე მჯდომ ბავშვიან ქალს.

გერასიმემ ველარ მოითმინა. გადახედა. ნეტავ თვალები დასდგომოდა. ბავშვში, საბნიდან რომ ძლივს მოუჩანდა სახე, ზედგამოჭრილი ბიკენტი იცნო. დარდმა და ბოღმამ მოგრიხა, შეურაცყოფის გრძნობამ მოხარშა და მოზღარბა კანში. დიდი ბიკენტისაგან ნათავაზევი მუშტების ნაკვალევი ნაღრძობივით აეძრა და ასტკივდა. შერცხვენილივით ჩუმად ჩაიპარა პირველსავე გაჩერებაზე.

თვალები კი ვერ მოაცილა ტრამვაის ფანჯარას, სადაც ქალი იჯდა. ქეთომ უეცრად შეიხედა და დაინახა იგი. გერასიმე მთლად მოიშალა. კიდევ კარგი, ტრამვაი დაიძრა, მოსახვევში მოეფარა. შესწყდა ეს მქენჯნავი სირცხვილი, შეუწყნარებელი სიყვარულით, დაუბრუნებელი ბედნიერებით გამოწვეული.

— ის ხომ ბიკენტიმ შეირთო,—ჩაილუღლუღა უგემურად გერასიმემ.

— ჰო, შეირთო, აკი გითხარი, ოთხი შვილი ჰყავს-მეთქი!—უხეირო გამოდექ და რა ვიყო?—ნიშნის მოგებით ჩაჰკორტნა ცეხის უფროსმა.

— რაც იყო-იყო, სინანული გვიანღაა, აფრინეთ ვინმე ქეთოსთან, აქ გაჩნდეს,—ბრძანა გადაწყვეტილად გერასიმემ და წავიდა ცეხის ბოლოსაკენ პატარა ოთახში, სადაც ის იჯდა ხოლმე.

დღის ორ საათზე ქარხნის ხელმძღვანელები დირექტორის კაბინეტში მოგროვდნენ. ქარხანამ ახალი შეკვეთა მიიღო. ნახაზები, მილივით დახვეული გასანთლული ტილო იღლიაში ეჭირა სამხედრო ტანისამოსში გამოწყობილ უცხო კაცს.

შეკვეთის მიღება გათავებული იყო, ცეხის უფროსი რომ შევიდა. უკან ქალი მისდევდა, რომელიც კართან გაჩერდა და დირეზე გადაბიჯებას, კაბინეტში შესვლას არ აპირებდა. ცეხის უფროსმა ხელით ანიშნა შესვლა. ქალმა ნაბიჯი გადადგა.

გერასიმემ სუნთქვა შეიკრა. ნამდვილად ის იყო, პატარა ქეთო, რომლის სიყვარულმაც უბრალო მუშას „გზა აუბნია“, სამშობლოდან გადახვეწა.

ძველი, პატარა გოგონაობიდან მარტო მოკიაფე თვალები, სახის თეთრი კანი და სპილოს ძვლის თითები და გადარჩენოდა დაქალებით გამოწვეულ ცვლილებებს.

თუმცა თვალებშიაც შეჰპარვია ცვლილება. ცელქი ბაიები და წამწამები აღარ უთამაშებდნენ, მიჟინებით უცქეროდნენ ერთ წერტილს და კაეშნის ნისლი ჰბურავდა.

გერასიმე წამოდგა, ახლოს მივიდა.

— როგორა ხართ, ქეთო?—ჰკითხა თავისდაუნებურად სრულიად მშვიდი ხმით.

— ბიკენტი ჯარშია, ბავშვები კარგად მყვანან,—მიუგო ქეთომ.

— იცით, რად გთხოვეთ ქარხანაში შემოვლა? ნახეთ?

— ვიცი, მითხრა!—ქალმა ცეხის უფროსს შეხედა.

— ხომ არ დაგვიწყნიათ მანქანის მართვა?

— დამავიწყდა რას ჰქვია, ან ენახე რაღა დროისაა: საათივით მუშაობს უკვე. ზეთის პაკები გავსწმინდე, ერთი წყვილი ბურთულაც გამოვუცვალე. ეგ არის, მაგ მანქანას ხელმიჩვეული კაცი სჭირდება. ბავშვივით გრძნობს უცხოს.

— ეს ხელმიჩვეული შენზე უკეთესი ვინ იქნება? ძმობას გაფიცებ, დარჩი ქარხანაში. ისევ შენ გებარებოდეს პატარა ქეთო. რას იტყვი?

— ერთის პირობით მხოლოდ: ჩემსავით უქმროდ დარჩენილი მარჯვე ქალები ვიცი—ორნი არიან. ხელად ისწავლიან, თითონ გაგიკვირდებათ, როგორ ჩქარა დაეუფლებიან მანქანას. მომეცით ნება ისინიც მოვიყვანო. ხომ შეიძლება მეორე, მესამე ცვლამაც იმუშაოს ქარხანაში, მარტო მე რას გავხდები, რამდენს ვეყოფი?

— ინებეთ, ოღონდაც, — სიხარულით წამოიძახა გერასიმემ.

— სრული ნება გაქვთ, ხვალვე მოიყვანეთ. ორი კი არა თუნდაც ოცი, ოცდაათი. საქმე ყველასათვის გვეშოვება,—ჩაერია მათ საუბარში დირექტორი, რომელიც შეუმჩნევლად ქეთოს და გერასიმეს გვერდში ამოსდგომოდა.

ამ დღიდან ქარხანაში აღარავის გაუგონია პატარა ქეთოს აჯინება, წყობილებიდან გამოვარდნა, ცეხის უფროსი შეკვეთის ნახაზს თუ მიაწოდებდა შორიდან ქეთოს და ორ ქალს, რომლებიც პატარა ქეთოს ჩვილისავით თავს ევლებოდნენ.

ან რად უნდა შეეხედნა უსაქმოდ? მანქანა საიმედო, ნაჩვევ ხელს ებარა, მუშები კი ხუმრობით ამბობდნენ ახლა:

ჩვენი პატარა ქეთო, მესამე სიზუსტის მანქანა, პირველი სიზუსტით მუშაობსო და მოკრძალებით იხედებოდნენ ქეთოსაკენ.

კოტე თოფურიძე

1897—1942

ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ 6 აპრილს გარდაიცვალა კოტე თოფურიძე. მისი სიკვდილი ღრმა მწუხარებას იწვევს მის მეგობრებსა და ნაცნობებში.

კოტე თოფურიძე სასარგებლო და საჭირო მუშაკი იყო ჩვენი უნივერსიტეტისათვის, სადაც იგი კითხულობდა ლექციებს ფრანგულ ლიტერატურაზე, ჩვენი თეატრისა და ხელოვნებისათვის, რომელთა შესახებ იგი ათავსებდა წერილებს ქართულ, რუსულ და ფრანგულ საბჭოთა პრესაში.

განსვენებულს საფუძვლიანი განათლება ჰქონდა მიღებული: განჯის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ იგი ჯერ მოსკოვის უნივერსიტეტში სწავლობდა, ხოლო შემდეგ გაემგზავრა პარიზს, სადაც 1924 წელს დაამთავრა სორბონის უნივერსიტეტი და მიიღო მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. მოსკოვსა და პარიზში ყოფნის დროს დიდი გულმოდგინებითა და სიყვარულით ეცნობოდა და სწავლობდა მხატვრობას, ქანდაკებას, თეტრალურ ხელოვნებას. მისი ინტერესების წრე არ იყო ვიწროდ შემოფარგლული მარტოოდენ ხელოვნებისა და ლიტერატურის საკითხებით. პარიზში ყოფნის დროს დაძაბული ყურადღებით ადევნებდა თვალყურს პოლიტიკურ-საზოგადოებრივ ცხოვრებას, რის გამოც სწორი და მკაფიო წარმოდგენა ჰქონდა ომის წინა და ომის შემდეგდროინდელ საფრანგეთის პოლიტიკურ მოღვაწეებზე. მისმა წერილმა თავისუფალი საფრანგეთის ბელადზე დე გოლზე (მოთავსებული იყო [illegible] საქართველოს [illegible]ბრის ერთ-ერთ ნომერში) საყოველთაო ინტერესი გამოიწვია, რადგან საბჭოთა მკითხველი ამ წერილით პირველად ეცნობოდა დე გოლს, როგორც თანამედროვე ომის ერთ-ერთ ნიჭიერ თეორეტიკოსს და დიდ ფრანგ პატრიოტს.

მაგრამ თავის პირდაპირ, უშუალო საქმედ კოტე თოფურიძეს მაინც ხელოვნების სამსახური მიაჩნდა. კოტე საბჭოთა საქართველოს და მისი კულტურის გულწრფელი პატრიოტი იყო. ყოველი გამარჯვება ჩვენი ხელოვნებისა ახარებდა და აღფრთოვანებდა მას. და თავის წმინდა მოვალეობად სთვლიდა ხელი შეეწყო ჩვენი ხელოვნების ყველა იმ ფაქტის პოპულარობისათვის, რომელიც ჩვენი საერთო კულტურული აღმავლობის მაჩვენებელი იყო. ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს მოსკოვში ჟურნალ „რამპა ი ჟიზნში“ მან გამოაქვეყნა ვრცელი წერილი ქართულ თეატრზე. ჩვენი თეატრების დადგმებზე, ცალკეულ მხატვართა და მოქანდაკეთა ნამუშევრებზე თუ, საერთოდ, — გამოფენაზე იგი ათავსებდა წერილებს „საბჭოთა ხელოვნებაში“, „მნათობში“ და „ლიტერატურულ საქართველოში“. ქართული ხელოვნებისა და კულტურის საკითხებს აშუქებდა იგი აგრეთვე მოსკოვის ყოველკვირეულ ფრანგულ გაზეთ „ლე ჟურნალ დე მოსკოუ“-ში.

ყურადღებით ისმენდა მის აზრს ყველა ხელოვანი, ყველა მკითხველი, რადგან მას ჰქონდა ორი კარგი თვისება: გულწრფელობა და საფუძვლიანი ცოდნა იმ საქმისა, რაზედაც სწერდა. კოტე თოფურიძე კულტურის ერთ-ერთი იმ მუშაკთაგანი იყო, რომელიც ჰქმნის ჯანსაღ საზოგადოებრივ ატმოსფერას ხელოვნების წინსვლისა და აყვავებისათვის. აი რატომ იწვევს მისი უდროვო სიკვდილი ღრმა მწუხარებას ჩვენს საზოგადოებრიობაში.

ვერიკო ანჯაფარიძე, ელენე ახვლედიანი, ლადო გუდიაშვილი, დავით კაკაბაძე, ვასო კუშიტაშვილი, კონსტ. გამსახურდია, ლეო ქიაჩელი, პროფ. შალვა ნუცუბიძე, სიმონ ჩიქოვანი, ილია აგლაძე, ვანო წულუკიძე, ბესო ჟღენტი.

ახალი წიგნები

გი დე მოპასანის მოთხრობები ქართულად

ახალგაზრდობისა და საბავშვო ლიტერატურის გამომცემლობა ქართულად სცემს გი დე მოპასანის მოთხრობების კრებულს. ამ კრებულში შევა იმ მოთხრობების სერია, რომლებიც შეეხებიან საფრანგეთ-პრუსიის ომს. წიგნში დაიბეჭდება „სულით ავადმყოფი“, „ორი მეგობარი“, „ტყვეები“, „დუელი“, „მადემუაზელ ფიფი“, „მამა მილონი“, „ვალტერ შნაბსის თავგადასავალი“ და „დედაბერი სოვაჟი“.

მოთხრობები თარგმნილია თედო სახოკიას, ქეთევან ირემაძისა და კოტე თოფურიძის მიერ.

„ის, რაც უკვდავია“

სახელგამმა გამოსცა სოლომონ თავაძის მოთხრობა „ის, რაც უკვდავია“. მოთხრობა სამამულო ომის გმირულ ეპიზოდებზეა აგებული. მოთხრობა პირველად იბეჭდება. წიგნი შეიცავს 42 გვერდს და ღირს 95 კაპ.

ცეცხლის ხაზიდან მშობლიურ ქალაქამდე

ალექსანდრე სულავა

ეს ომი პირველია ჩემს ცხოვრებაში.

ომის ყოველდღიურობა უცნაური გრძნობით ანთებს ადამიანის არსებას. შენი წმინდათა-წმინდა გრძნობაა მტერზე უეჭველი გამარჯვება. როცა წითელი არმია წინ მიიწევს, ძნელია თუნდაც დროებით ფრონტის დატოვება. ეს ისეთი გრძნობაა, რომელიც დაჭრილ მეომარსაც კი უკარნახებს, არ დასტოვოს ბრძოლის ველი. ეს პატიოსნებისა და სამშობლოს სიყვარულის უდიდესი გრძნობაა.

გადაწყვეტილია გამოვემგზავრო მშობლიურ ქალაქისაკენ. მშობლიური ყველაფერი ტკბილია. რამდენი ხანია არ მინახავს ხმაურითა და სიცოცხლით სავსე ტფილისის ქუჩები. იგი ღრმა ზურგშია, მაგრამ მოუსვენრად ადევნებს თვალყურს ბრძოლის ველს და ეხმაურება მას. ამას წინად თბილისმაც მიაწოდა თავისი წვლილი ფრონტზე მებრძოლებს. ცხვირსახოცებს, ჩურჩხელებსა და წინდებს შორის მებრძოლები ნახულობდნენ წერილებს. ახალგაზრდა ქალები უგზავნიდნენ თავიანთ დამცველებს გულთბილ მილოცვას, უსურვებდნენ გამარჯვებას. სიხარულთან ერთად ამ საჩუქრებსა და წერილებს ფრონტისათვის მოჰქონდათ ხალხის ღრმა სიყვარული და გამარჯვების რწმენა.

იმ გვირაბთან, სადაც ჩვენ ვდგავართ, პატარა მანქანა მიცდის, იგი გერმანელებს დატოვებინეს ჩვენებმა. ამ მანქანით უნდა მივიდე რკინიგზის ხაზამდე. ორნი ვართ. ერთი ამხანაგი ქერჩამდე მოდის ჩემთან ერთად. გზა ცეცხლის ხაზის ახლოს მიდის. იგი შეუნელებლად გუგუნებს. ჰაერი გაყრუებულია თვითმფრინავების ხმაურით. დღეს შესანიშნავი საფრენოსნო ამინდია და მფრინავებიც არ ისვენებენ. ჩვენი ბომბზიდავები ჯგუფ-ჯგუფად მიეშურებიან მტრის ბანაკისაკენ, ისმის ბომბების გრუხუნი. საბჭოთა არტილერია განუწყვეტელი ცეცხლით უმასპინძლდება მტრის სანგრებსა და სადგომებს.

აი სოფელი აგ-ბე, იგი დანგრეულია ფაშისტი მხეცებისაგან, მაგრამ წითელარმიელები მაინც ფუსფუსებენ ირგვლივ. აი მეორე სოფელი ს. ისიც დანგრეულია. რამდენიმე დღის წინათ აქ შეუძლებელი იყო გავლა, ისეთი ტალახი იდგა. ახლა მსუბუქი მანქანა ადვილად მიჰქრის. ფრონტისაკენ მიმავალი წითელარმიელები ცნობისმოყვარეობით ათვალიერებენ ჩვენს მანქანას, რომელზედაც გაქცეული ირმები ხატია. მივედით რკინიგზის ხაზთან, გამოვემშვიდობეთ მანქანის წამყვანს და ზურგზე ჩანთა მოკიდებულნი შევყვებით რკინიგზის ლიანდაგს. მაგონდება სურათის სახელწოდება: „მოდიოდა ჯარისკაცი ფრონტიდან“, მეც ასე მივდივარ ფრონტიდან ღრმა ზურგისაკენ.

რამდენი თვეა არ მინახავს, რკინიგზა და მატარებელი. მოუთმენლად ველოდები მატარებლის გამოჩენას. იგი ბევრ სიამოვნებას მომგვრის. მატარებელი აქედან უმთავრესად ღამით დადის, რადგან დღით მას თავს ესხმიან მტრის თვითმფრინავები. იმ სადგურამდე კი, საიდანაც ქერჩამდე მიდის მატარებელი, ჯერ კიდევ შორსაა. უნდა გავიარო ოციოდე კილომეტრი.

გავცდი თუ არა სოფელ ა-ის, უცებ მას თავს დაესხა მტრის სამი თვითმფრინავი. შემზარავი წივილით ცვივიან ბომბები. მიწაზე ბოლი დგება. ეს ჩვეულებრივი ამბავია აქ. ამიტომ ჩვენ მშვიდად განვაგრძობთ გზას.

საღამოვდება. ზღვის ნესტიანი ქარი საგრძნობი ხდება, ვუჩქარით, რომ ადრე მივიდეთ სადგურ ს.-ში. ეს სადგური დალეწილ-დანგრეულია, ეტყობა მოზრდილი სადგური ყოფილა. დანგრეულია სადგურს უკან გზის პირად მდებარე სახლებიც. მაგრამ ამ ნანგრევებში წითელარმიელები განაგრძობენ ცხოვრებას. სადგურის მორიგე ქვის პატარა სახლშია მოთავსებული.

საღამოს ცხრა საათია. არავინ არ იცის, როდის გავა მატარებელი. ჩემი სიხარული გამართლდა: სადგურზე ჩამოდგა სამანევრო ორთქლმავალი ორიოდე ვაგონით. მახარებს მისი ქშენა და ხმაური. მაგონდება ბავშვობა და მაზუთში გასვრილი მამა-ჩემი, როგორ მიყვარდა მის ორთქლმავალზე ჯდომა. სადგურის კომენდანტი გვაფრთხილებს, შეიძლება, მატარებელი დილამდე არ მოვიდესო, დაღლილებს ძილი გვეკიდება, მაგრამ სად გინდა ღამის გათევა? პროჟექტორები ცას ანათებენ, რადგან ცაზე მტრის თვითმფრინავები დაფრინავენ. ღამის გასათევად ერთ საკლასო ვაგონში შევედით. შიგ სამხედროებს სძინავთ. ვაგონს არა აქვს არც კარები და არც ფანჯრები, შიგ ცივა. ფრთხილად გვძინავს, გვეშინიან ვაგონი მოულოდნელად არ წაიყვანონ სადმე.

მატარებელი ქერჩისაკენ მხოლოდ დილის 5 საათზე გავიდა. ნელა მიდის. სადგურებზე მცირეხანს ჩერდება. აი მივუახლოვდით სადგურს სალინს. სადგურის უკან თავმოყრილია გერმანელების მიერ დატოვებული უამრავი მანქანა. გზებზე მხოლოდ მათი ქვემეხები ყრია. რკინიგზას შარაგზა მიჰყვება. ამ გზით გარბოდნენ გერმანელები, როცა ქერჩის ნახევარკუნძულს სტოვებდნენ. სადგურის პირდაპირ პატარა სოფელია. ამ სოფლის დასაწყისში უკრაინული ყაიდის სახლი სდგას. აქ ცხოვრობს დანილა რეშეტნიაკის ოჯახი. როცა მტერს კვალდაკვალ მივსდევდით, ორი ღამე გავათიეთ ამ ოჯახში. ჩემთვის ეს ოჯახი ნაცნობია, ამიტომ ერთხელ კიდევ მინდა გადავხედო მას ფანჯრიდან. ეზოს ჭიშკართან პატარა საფლავია, აქ მარხია დანილას ვაჟი ვასია. როცა ფაშისტები გარბოდნენ, მან ერთ ფაშისტს დაუძახა:

— კაპუტ გერმანელებს!

საზიზღარმა გერმანელმა ავტომატი ესროლა და 13 წლის ყმაწვილი იქვე გაგორა. დედმამამ იგი ეზოში დაასაფლავა.

— კიდევ კარგი, რომ სახლში არ შემოგვივარდნენ. მათ ამისი თავი უკვე აღარ ჰქონდათ, — გვითხრა დანილამ, როცა თავისი შვილის ამბავს გვიყვებოდა, — თორემ ყველას ამოგვწყვეტდნენ, რადგან ქოხში ორი დაჭრილი წითელარმიელი გვყავდა დამალული. ერთი მათგანი ქართველი იყო. მან ვერ გაიხსენა წითელარმიელის გვარი: ქართულ გვარებს ვერ ვიხსომებო.

ახლა დანილას სახლთან არავინა სჩანს, მხოლოდ ჭასთან ეზოში ორი ქალი წყალს იღებს ჭიდან. ამ სოფელში წყალი არ არის, ერთად-ერთი ჭა დანილას ეზოშია, ისიც შემთხვევით აღმოჩენილი: მიწას ვთხრიდი სარდაფისათვის და უცებ წყალს წავაწყდი, გავსინჯე და უმარილო წყალი აღმოჩნდა, მას შემდეგ მთელი სოფელი ხმარობსო.

მინდოდა მენახა დანილა, ჭკვიანი კაცია, მასთან საუბარი სასიამოვნოა, რადგან ბევრი რამ იცის, ძალიან სწუხდა თავის სამშობლო უკრაინაზე. ათი წელიწადია ყირიმში ცხოვრობს, მაგრამ მშობლიურ უკრაინას ვერ ივიწყებს. ძნელია სამშობლოს დავიწყება. ადამიანი უსამშობლოდ ბულბულია უსიმღეროდ, — გვითხრა მან.

როცა მატარებელი ქერჩის სადგურს უახლოვდებოდა, ჩვენს თავზე მტრის თვითმფრინავმა გადაიფრინა, მას უკან მისდევდა ორი საბჭოთა თვითმფრინავი.

ქერჩის სადგური ქალაქიდან რამდენიმე კილომეტრზეა. სადგურის მახლობლადაა ის ადგილი, რომლის ხსენებაც ყოველ ქერჩელს ჟრუანტელს ჰგვრის. ეს ადგილი ბაგეროვოა. ფაშისტმა მხეცებმა აქ დახვრიტეს შვიდი ათასი უდანაშაულო ადამიანი, მოხუცები, ქალები და ბავშვები.

იანვარში, როცა ჩვენ ეს სისხლიანი სასაფლაო ვნახეთ, შვიდი ათასი ადამიანის გვამი ოდნავ თოვლით იყო დაფარული. ახლა გვამები დამარხულია. შვიდი ათას ადამიანიდან მხოლოდ ცამეტი თუ თოთხმეტი წლის ერთი ყმაწვილი გადარჩა, ისიც შემთხვევით. თითონ ცოცხალი დაბრუნდა ქალაქში, მშობლები იქ დარჩა დახოცილი. ქალაქში ამ ბავშვს ახლა ყველანი იცნობენ.

ქერჩი ლამაზი ქალაქია. ერთი შეხედვით, თბილისსა ჰგავს; ხანგრძლივი წარსულის, — ორი ათას ხუთას წლიან ქალაქს, რა არ უნახავს! აქ დაილეწა მტვერი და ტალახი ხალხთა ისტორიისა. ქალაქი შეფენილია მიტრიდატის მთის კალთაზე. ეს მთა ინახავს წარსულის ნამსხვრევებს—სარკოფაგებსა და სასახლეებს. აქ მეფობდა ოდესღაც მრისხანე დამპყრობელი მიტრიდატი. ტახტს მან ვერაგული გზით მიაღწია, მიტრიდატის ტრიუმფალური შესვლის დროს ქალაქი სისხლით მოირწყო. მიტრიდატმა თავისი ხელით მოჰკლა საკუთარი დედა. ასეთი ბედი მოელოდა მასაც საკუთარი შვილისაგან, მაგრამ მიტრიდატმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაამთავრა. ასეთია ტირანის ბედი. ასე დამთავრდება ბედი ტიროლელი ჯაშუშისაც, ფაშისტი მტარვალისა, რომლის სისხლიანმა ხელმა შებილწა ეს შორეული ქალაქიც კი.

შორეულ წარსულში ამ ქალაქის ხშირი სტუმრები იყვნენ ბერძნები, რომაელები, სკვითები. ვის არ გაუვლია ამ ქალაქის მიწაზე? რევოლუციამდე იგი ხელში ჩაიგდო გერმანელმა კაპიტალისტმა ვინმე კლეინმა. ქერჩიდან იგი რევოლუციამ განდევნა, მაგრამ მძარცველს ასე ადვილად როდი მოიცილებ. 1918 წელს, თეთრების მიერ ქალაქის ოკუპაციის დროს, იგი კვლავ დაბრუნდა, მაგრამ ხალხმა თეთრებთან ერთად იგი სამუდამოდ განდევნა. კლეინის ბოროტმა თანამემამულეებმა — გერმანელმა ფაშისტებმა ათეული წლის შემდეგ დროებით ისევ დაიპყრეს ეს ქალაქი, მაგრამ წითელმა არმიამ კვლავ გარეკა მტერი ქალაქიდან. ნახევარკუნძულიდან გერმანელი დამპყრობლების განდევნის დასაწყისი შესანიშნავი ფურცელია წითელი არმიის ბრძოლისა. ბევრის მნახველი ქალაქი ვერასოდეს ვერ დაივიწყებს წითელი არმიის იმ დესანტებს, რომლებმაც ყუბანიდან გმირულად გადალახეს ჯერ ზღვა, მერე ფაშისტთა წინააღმდეგობა და განდევნეს ისინი ქალაქიდან.

ქერჩი ახლა იშუშებს იარებს. ქალაქში გაცხოველებული მოძრაობაა. აღდგენილია საწარმოები, გამოდის ყოველდღიური გაზეთი და სხვ.

ფეხსაცმლის მწმენდავებთან რიგებია. ერთ-ერთ რიგში ჩავდექი. ვატყობ, დიდხანს მომიხდება ცდა. მაგრამ აი გაისმა საყვირების ხმა — განგაშის ნიშანია. ხალხმა მიატოვა ჩექმის მწმენდავი, ჩემდა საბედნიეროდ ჩექმის მწმენდავი ყრუა და არ ესმის რა ხდება, რიგს გარეშე ლამაზად ვიწმენდ ჩექმებს.

ქალაქში იგრძნობა სამხედროთა სიჭარბე. როგორც მთელი ჩვენი ქვეყანა გადაქცეულია ერთიან სამხედრო ბანაკად, ისე ქერჩიც ასეთი ბანაკის პატარა ნაწილია. ხშირად ხედავთ მეზღვაურებს გრანატებით. მიხრიგინებენ ქვემეხები, ტანკები. სამხედროთა შორის აქ ბევრნი არიან ქართველები. სად გინდა, რომ არ გაიგონო ქართული?

აქ, შორეულ ყირიმში, ქართველი მეომრები მოსულან იმისათვის, რომ საბჭოთა ხალხის შვილებთან ერთად დაიცვან სამშობლო, განდევნონ და მოსპონ ვერაგი მტერი. ფაშისტები აქედან აპირებდნენ დასხმოდნენ თავს ყუბანსა და კავკასიას, მაგრამ მოხდა პირიქით, მათ თავს დაესხნენ ყუბანელნი და კავკასიელნი. ახლა ბრძოლა გრძელდება ქერჩიდან შორს, მრავალი ათეული კილომეტრით დაშორებულ ადგილებში. გმირულად იბრძვიან წითელი არმიის ძალები. მათ შორის მრავალია ქართველი. ისინი რუსებთან, უკრაინელებთან, ყუბანელ ყაზახებთან მხარდამხარ იცავენ სამშობლოს სახელსა და დიდებას.

ქერჩის ქუჩებში ვხვდები ჩემს თბილისელ ნაცნობებსა და ამხანაგებს. ბევრი მათგანი ახლა მიეშურება ფრონტისაკენ. ბევრი სასწრაფოდ სწერს ბარათს საქართველოში გამოსატანებლად ან სიტყვიერად მაბარებს რამეს. ქერჩიდან ყუბანისაკენ უნდა გადავფრინდე. ზურგზე ბარ-აკიდებული მივდივარ აეროდრომისაკენ.

გუშინ ცეცხლის ხაზზე მზიანი ამინდი დავტოვე, აქ ქერჩში კი ქარს თოვლი მოაქვს. აცივდა. თვითმფრინავი არ მოვიდა თავის დროზე. ვზივარ მფრინავებთან და თვალყურს ვადევნებ მათ ყოფას. ოთახში ყოველ წუთს შემოდიან და გადიან სივრცის არწივები — საბჭოთა მფრინავები. ისინი გვიყვებიან თავიანთი გაფრენის ეპიზოდებს.

ორი დღის შემდეგ ნორდოსტი ოდნავ დაცხრა. სივრცე გააყრუა დუგლასმა. ბოლოს მძიმედ დაეშვა. თავი მოვიყარეთ მის გარშემო, რამდენიმე წუთის შემდეგ ამ საჰაერო გემში ვჯდებით ოცამდე კაცი, ჩვენ შორის არიან სარდლებიც.

გუგუნებენ თვითმფრინავის მძლავრი მოტორები, კილომეტრები სწრაფად იცვლებიან მისი ფრთებით. აი კრასნოდარიც. აქ თოვლი მოსულა. კრასნოდარის სადგური სამხედროთა სადგურად გადაქცეულა. საღამოს ათი საათია, უკვე კუპეში ვზივარ ახალ მგზავრებთან. მგზავრების უმეტესობას სამხედროები შეადგენენ. კაზაკის ქალი მეკითხება, ხომ არ იცნობ ჩემ ქმარსო, მერე ქალი სურათს მაჩვენებს, მისი ქმარი კაპიტანია და ყირიმის ფრონტზე იმყოფება.

ჩვენს კუპეში პოლკოვნიკი ზის, დაჭრილია, ლაპარაკი ჩამოვარდა ლიტვინოვის გამოსვლის შესახებ. ვიღაცამ მოსკოვთან ფაშისტების განადგურების ისტორია გაიხსენა.

ეგ ბრძოლა ისტორიაში უპრეცედენტოა, — სთქვა პოლკოვნიკმა და ბელადის სახელი ახსენა.

მგზავრებს შორის აღმოჩნდა მოსკოვის დაცვის მონაწილეც. რამდენი სიყვარული და ერთგულება ღვივოდა მოსაუბრეთა სიტყვაში ბელადის მიმართ.

— იგი ჩვენი იღბალია, ჩვენი იმედი და მამა, — სთქვა კაზაკის ქალმა.

საუბარში მეც ჩავერიე, გავახსენე მოსაუბრეებს ცნობილი მწერლის ბერნარდ შოუს საბჭოთა ქვეყანაში ჩამოსვლის ამბავი. შოუმ მაშინ სტალინის შესახებ სთქვა: მთელი თანამედროვე ევროპის პოლიტიკური მოღვაწეები პიგმეები არიან, სტალინი კი გიგანტიაო. შოუს ეს სიტყვები ერთხელ კიდევ გამართლდა მთელი მსოფლიოს მასშტაბით. იგი ერთად ერთი ადამიანია, რომელსაც მოწინავე კაცობრიობა მიჰყავს ხსნისაკენ, გამარჯვებისაკენ.

დიდი მანძილი გაიარა მატარებელმა, და საქართველოს მიწას მიუახლოვდა. ყოველ კუთხეს თავისი სილამაზე აქვს, მე მაინც განსაკუთრებული სიყვარულით ვფიქრობ საქართველოზე. ომის მეოხებით სად არ ვიყავი, რამდენი ქალაქი და სოფელი არა ვნახე, რამდენი ასი კილომეტრი ფეხით არ გავიარე და ჩემი სამშობლო კუთხე უფრო შემიყვარდა.

ნავთლუღიდან მოსჩანს ელექტრონით გაჩაღებული დედა-ქალაქი. მის კალეიდოსკოპში მრისხანე წლის ჟღერა იხატება. თბილისი ახლა შორს არის ფრონტის ხაზიდან, მაგრამ თავისი მგზნებარებით ისე ახლოა მასთან, როგორც ფრონტის მახლობლად მდებარე ქალაქი. თბილისს არ განუცდია ოკუპანტთა თარეში, მაგრამ იგი აღსავსეა შურის ძიებით მტრების მიმართ, რომელთაც გაბედეს ჩვენი მშვიდობიანობის დარღვევა და ჩვენი ქვეყნის მიწა-წყალზე შემოჭრა.

რამდენიმე დღეა უკვე, რაც ჩემს ყურთასმენას არ აყრუებს ფრონტის გუგუნი, მოტორების ხმაური. ეს გუგუნი და ხმაური მხოლოდ ჩემს მეხსიერებაშია, მაგრამ ფეხი ვერ გადამიდგამს ისე, რომ ნაცნობებმა და მეგობრებმა არ გამახსენონ, ვიცი ჩვენი ხალხის ცნობისმოყვარეობა. ხშირად მეკითხებიან — ფრონტზე მყოფ მებრძოლთა ცხოვრების შესახებ.

პასუხით ყველანი კმაყოფილნი რჩებიან. ამ მხურვალე ცნობისმოყვარეობაში მოსჩანს უდიდესი მზრუნველობა საბჭოთა ხალხისა თავის დამცველებისადმი. ზურგი მზადაა გაიჭირვოს, ოღონდ არაფერი მოაკლდეს ფრონტს, და როცა ფრონტიდან იგი მადლობას იღებს, კმაყოფილი რჩება.

სამშობლოს ბედზე ფიქრს ჩვენი დედაქალაქი დაუღალავი შრომითა და გარჯით პასუხობს, ფრონტზე მყოფი ქართველი მებრძოლები კი — მტერზე მედგარი შეტევით.

სარედაქციო კოლეგია:
ირაკლი აბაშიძე, შალვა დადიანი, სანდრო ეული, გიორგი ლეონიძე,
გიორგი ნატროშვილი, შალვა რადიანი, ვანო წულუკიძე.

რედაქციის მისამართი: მაჩაბლის ქუჩა № 13, (მწერალთა სახლი), ტელეფონი 3—47—10.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.
უე 5877.